

დანართი



ვამტკიცებ  
შპს ორიენტირის 2018 წლის 27 ივლისი

№ 01/60 ბრძანებით

დირექტორი:

რამაზ მაჭარაშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შპს ორიენტირი



ფარმაცევტის თანაშემწე  
090351 (V საფეხური)

თბილისი 2018

**I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ფარმაცევტის თანაშემწე

**II. პროფესიული განათლების საფეხური:** V საფეხური

**III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**IV. პროგრამის მოცულობა:** ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 120 კრედიტი (3000 საათი), რომლის 40% (48კრედიტი - 1200 საათი) ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 60% (72 კრედიტი - 1800 საათი) - თეორიულ კომპონენტს.

პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტის თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.

ერთი კრედიტი არის 25 ასტრონომიული საათი;

თეორიული სწავლება მიმდინარეობს 51 კვირის მანძილზე, რომლის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას 31 კვირის მანძილზე.

ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **მეხუთე** საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

**V. პროგრამის ხანგრძლივობა:** 82 კვირა

**VI. სწავლების ენა:** ქართული

**VII. პროგრამაზე მიღების წინაპირობა:**

- ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ აპლიკანტებს, რომლებსაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიასა და ქიმიაში.

**VIII. სფეროს აღწერა:** ფარმაცევტის თანაშემწე არის ფარმაცევტულ საწარმოებში, ლაბორატორიებში, აფთიაქებში, სტომატოლოგიურ და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებში, ფარმაცევტულ ბაზებში, სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ

და წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში დასაქმებული სათანადო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების მქონე პროფესიული კადრი.

ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საქმიანობა მოიცავს:

- ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადებას აფთიაქში ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით.
- ტექნოლოგიური ოპერაციების განხორციელებაში მონაწილეობას.
- ფარმაცევტული პროდუქციის, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების, ნედლეულის მიღება-განთავსებას, შენახვის პირობების უზრუნველყოფას და ვარგისიანობის კონტროლს.
- მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადებას, შრობას, შენახვას, პირველად დამუშავებას.
- ფარმაცევტული ანალიზისთვის ლაბორატორიის მომზადებას.
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისთვის განკუთვნილი მასალის გარეგან დათვალიერებას, შეფასებას, სინჯების აღებას და დამუშავებას.
- წამლის ხარისხის კონტროლს და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ანალიზს ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით.
- დოკუმენტაციის წარმოებას.
- მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

**IX. პროფესიული პროგრამის მიზანი** – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ფარმაცევტის თანაშემწის მომზადება შრომის ბაზრისათვის, რომელიც ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ უნარ ჩვევებს, კერძოდ მომზადდეს წამლების სააფთიაქო და საქარხნო ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპების, ნედლეულისა და მასალების მიღება-აღრიცხვის, ნედლეულის შენახვის, პირველადი დამუშავების, წამლის ხარისხის კონტროლის, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ძირითადი საკითხების, ფარმაცევტული პროდუქციისა და სამედიცინო დანიშნულების მქონე საქონლის, საგნების შენახვის პირობებისა და ვარგისობის ვადების კონტროლის, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისათვის განკუთვნილი ობიექტების შეფასების, დათვალიერების, სინჯების აღებისა და დამუშავების მცოდნე, საქარხნო და სააფთიაქო ტექნოლოგიურ ოპერაციებში მონაწილეობის უნარის მფლობელი და აუცილებელი კომუნიკაციური დიგიტალური უნარების მქონე სპეციალისტი- მეხუთე საფეხურის ფარმაცევტის თანაშემწე, რომელიც აღჭურვილი იქნება პროფესიით აფთიაქებში, ფარმაცევტულ საწარმოებში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ და წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში, ფარმაცევტულ ბაზებში, სტომატოლოგიურ და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებში დასაქმებისათვის აუცილებელი კომპეტენციებით/უნარებით და შეასრულებს ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ მოვალეობებს.

## X. სწავლის შედეგი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები კერძოდ ზოგადი და არაორგანული ქიმიის საფუძვლები, ქიმიური რეაქციის ტიპები, ატომის აღნაგობა, ქიმიური ბმები, ვალენტობა, ქიმიური რეაქციის სიჩქარე, ქიმიური წონასწორობა და ხსნარების კონცენტრაციის გამოსახვა პროცენტებში, ასევე ძირითადი არაორგანულ ნაერთთა კლასები. ასევე ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის ზოგადი პრინციპები.</p> <p>იცის ანალიზური ქიმიის თეორიული საკითხები, ნაერთების შემადგენელი კომპონენტების აღმოჩენის და მათი რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები: ტიტრომეტრული ანალიზი, ბუფერული და ტიტრიანი ხსნარების მომზადების წესები, ანალიზის ქიმიურ-ფიზიკური მეთოდები. ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები.</p> <p>იცის ზუსტი მეცნიერების მათემატიკის ზოგადი საფუძვლები, ნატურალურ და რაციონალურ რიცხვებზე არითმეტიკული ოპერაციების ჩატარების წესები, მოქმედებები წილადებზე და პროცენტებზე. პროპორციის შედგენა. ამოცანების სიჩქარეებზე, ხსნარებზე და შენარევებზე. ფუნქციები, ფუნქციების მოცემის ხერხები.</p> <p>იცის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები, კერძოდ, ორგანული ნაერთების ძირითადი კლასიფიკაცია და აღნაგობის თავისებურებები. მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და გამოყენება, ასევე იზომერია და როლი ბიოლოგიურ პროცესებში.</p> <p>იცის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, კერძოდ, სამედიცინო ბიოლოგიის ზოგადი საფუძვლები. იცის ადამიანის ორგანიზმის მთლიანობის შენარჩუნების - ჰომეოსტაზის სარეგულაციო მექანიზმები. აგრეთვე მისი დაბერებისა და სიკვდილის ბიოლოგიური საფუძვლები, სამედიცინო პარაზიტოლოგიის ძირითადი საკითხები.</p> <p>იცის პროფესიული სამედიცინო ტერმინოლოგია, ლათინური ენის საფუძვლები, კერძოდ ლათინური ტერმინოლოგია, რეცეპტის სტრუქტურა, წარწერები რეცეპტზე, ბლანკის ფორმები.</p>
-------------------------------------	---	---

		<p>აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ხასიათსა და სირთულეს, პოულობს მათი გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს. ასევე იცის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები.</p> <p>იცის სააფთიაქო ნომენკლატურა, ფარმაცევტული საქმიანობას და სამკურნალო საშუალებების რაციონალურ გამოყენებაზე მოქმედ ფაქტორები.</p> <p>იცის ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების), სამედიცინო დანიშნულების საქონლის - საგნების მასალების, შემავსებლის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება - განთავსების, სერიული აღრიცხვის და ვარგისობის ვადის კონტროლი. ეცოდინება მომზადებული პროდუქტის დაფასოების, შეფუთვის, მარკირების წესები და პრინციპები. ასევე იცის აფთიაქის მოწყობა და აღჭურვა, აფთიაქის სხვადასხვა განყოფილების მუშაობის ორგანიზაცია, სამკურნალო საშუალებების აღრიცხვის და გაცემის პრინციპები. ფარმაცევტულ დაწესებულებებში სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის ორგანიზაცია, შენახვის პირობების უზრუნველყოფა.</p> <p>იცის სამედიცინო საქონლის კლასიფიკაცია, ხარისხის შეფასების მეთოდები, სტანდარტიზაცია, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, საქონლის ტრანსპორტირების, ასევე შესახვევი მასალების, ავადმყოფის მოვლის საგნების, ინსტრუმენტების, განთავსება-შენახვა, კოსმეტიკური საშუალებებისა და სამკურნალო წყლების საქონელმცოდნეობა.</p> <p>იცნობს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგადი თეორიულ საფუძვლებს. კერძოდ, მხამების ცნება და მხამიან ნივთიერებათა კლასიფიკაცია, ორგანიზმში მოხვედრის გზები ტოქსიკური ნივთიერებების იზოლირების, აღმოჩენის და განსაზღვრის მეთოდები. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტებისაგან მიღებული მხამიანი ან ძლიერმოქმედი ნივთიერების რაოდენობრივი განსაზღვრის ქრომატოგრაფიული, სპექტრომეტრული,</p>
--	--	--

ელექტროქიმიური და სხვა მეთოდები. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები.

იცის რომელია სამკურნალო და არასამკურნალო მცენარეები, მცენარეების ცნობა, ბუნებაში სამკურნალო მცენარეების შემადგენელი ნივთიერებები, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების პროცესის ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგია.

იცის მედიკამენტების ძირითადი ჯგუფები, კლასიფიკაცია, ჩვენებები, გამოშვების ფორმები, კერძოდ ნერვულ სისტემაზე მოქმედი, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, შარდის გამომყოფ სისტემაზე, სისხლის სისტემაზე, ენდოკრინულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები, მეან-გინეკოლოგიაში გამოსაყენებელი პრეპარატები, ასევე ქიმიო-თერაპიული საშუალებები, ვიტამინური პრეპარატები.

იცნობს წამლის ხარისხის კონტროლის ზოგად თეორიულ საფუძვლებს. კერძოდ სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების მეთოდებს, პრეპარატების შენახვისას შესაძლო გარდაქმნებს და ქიმიურ შეუთავსებლობას, სამკურნალო საშუალებებების ხარისხის შეფასების მეთოდიკას, პრეპარატების სტანდარტიზაციისთვის საჭირო ანალიზის მეთოდებს. ლაბორატორიაში და ფარმაცევტულ წარმოებაში უსაფრთხოდ მუშაობის წესებს.

იცის ფარმაცევტული ქიმიის ზოგადი და კერძო კანონზომიერებანი, სამკურნალო საშუალებები, მათი ქიმიური სტრუქტურა, თვისებები, შეუთავსებლობა, ხარისხის შემოწმება, სტანდარტიზაცია და ანალიზის მეთოდები, ასევე ახალი პრეპარატების შექმნის მიზნის გზები. ფარმაცევტულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის ზოგადი წესები.

იცის ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, მალამოების, გამონაცემების, მონახარშების, სუპოზიტორიების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები. ასევე სააფთიაქო წამალთა ფორმების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები, წამალთა ფორმების კლასიფიკაცია, დოზირების მეთოდები.

იცის წარმოების პროცესის დაწყებით სტადიაზე (დამხმარე

		<p>სამუშაოები) ნედლეულის და მასალების მომზადების (დაწვრილმანება, აწონვა, გაცრა, შერევა, გახსნა, აორთქლება, შრობა, სხვა და სხვა გამხსნელების მომზადება და ა.შ.) თეორიული საფუძვლები, ასევე მომზადებული პროდუქციის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება. იცის წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია მოამზადოს სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარები; განსაზღვროს სხვადასხვა კათიონისა და ანიონის შემცველობა საკვლევ ნივთიერებაში, მათ შორის სამედიცინო პრეპარატებში. ასევე შეუძლია რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრირების ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება .</p> <p>შეუძლია ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, სუპოზიტორიების, მაღამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით. სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა; ტექნოლოგიური ოპერაციების (დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა;</p> <p>ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები), სამედიცინო დანიშნულების საქონლის-საგნების, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა და ვარგისობის ვადის კონტროლი; მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია; რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრირების ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნული დათვალიერება, შეფასება, სინჯების აღება და დამუშავება. ანალიზის განხორციელება წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით, დოკუმენტაციის წარმოება. სხვებისათვის</p>

		<p>საკუთარი ცოდნის გადაცემა.  შეუძლია წამლის ხარისხის კონტროლის ანალიზით განხორციელება, დოკუმენტაციის წარმოება.  შეუძლია წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება-აღრიცხვა. მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადება, შრობა, შენახვა, პირველადი დამუშავება (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა). სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა.  ტექნოლოგიური ოპერაციების (დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა. ფარმაცევტული ანალიზისათვის ლაბორატორიის მომზადება. წამლის ხარისხის და ლაბორატორიული ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით.</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების, რეაქტივების და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის პირობების დარღვევის შესახებ დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;  ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების და რეაქტივების ვარგისიანობის ვადების კონტროლი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება დროული რეალიზაციის ან ამოღების აუცილებლობის შესახებ ზომების მიღება.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის</p>	<p>შეუძლია ქართულ და ინგლისურ ენაზე პროფესიული ტერმინოლოგიით კომუნიკაცია, ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების აფთიაქის პირობებში მომზადების ტექნოლოგიების, ფარმაცევტული, ნედლეულის, პროდუქციის და რეაქტივების ვარგისიანობის ვადებისა და მათი შენახვის პირობების შესახებ, შეუძლია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებით. უნარი შესწავს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებს და არასპეციალისტებს.</p>



	წარდგენა.	უნარი შესწევს ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფარმაცევტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ შეუძლია საოფისე პროგრამების გამოყენება, ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაგზავნა, ინტერნეტის გამოყენება, მონაცემთა ბაზაში მონაცემების შეტანა - გამოტანა, დამუშავება. აქვს ინფორმაციის დემონსტრირების უნარი.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით.
<b>ღირებულებები</b>	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას იცავს და სხვებსაც მოუწოდებს დაიცვან პროფესიული ეთიკის ნორმები.

## XI. სწავლის შედეგების რუკა

#	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	PHAR 501	ინგლისური ენა				X		
2	PHAR 502	საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები				X		
3	PHAR 503	სამედიცინო ბიოლოგია	X					
4	PHAR 504	ლათინური ენა სამედიცინო ტერმინოლოგია	X					
5	PHAR 505	მათემატიკა	X					

6	PHAR 506	სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	X					
7	PHAR 507	ზოგადი და არაორგანული ქიმია	X					
8	PHAR 508	ორგანული ქიმია	X					
9	PHAR 509	ფარმაკოლოგია	X					
10	PHAR 510	ანალიზური ქიმია	X	X				
11	PHAR 511	წამალთა დამზადების სააფთიაქო ტექნოლოგია	X					
12	PHAR 512	წამალთა დამზადების საქარხნო ტექნოლოგია	X					
13	PHAR 513	ტოქსიკოლოგიური ქიმია	X	X				
14	PHAR 514	ფარმაცევტული ქიმია	X	X				
15	PHAR 515	ფარმაკოგნოზია	X					
16	PHAR 516	ფარმაცევტული პრეპარატების ანალიზი და ხარისხის კონტროლი	X					
17	PHAR 517	ბიოეთიკა	X					
18	PHAR 518	სოციალური ფარმაცია (ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია)	X					
19	PHAR 519	სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)		X	X	X	X	X
20	PHAR 520	წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)		X	X	X	X	X

XII. სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება							სულ საათების რაოდენობა
				საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	
				ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	სასწავლო/საწარმოო კონსულტაცია	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა		
1	PHAR 501	ინგლისური ენა	6	26	61	-	2	3	92	58	150
2	PHAR 502	საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები	3	13	25	-	2	3	43	32	75
3	PHAR 503	სამედიცინო ბიოლოგია	3	14	26	-	1	3	44	31	75
4	PHAR 504	ლათინური ენა სამედიცინო ტერმინოლოგია	3	14	33	-	1	3	51	24	75
5	PHAR 505	მათემატიკა	3	13	27	-	1	3	44	31	75
6	PHAR 506	სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	4	24	24	-	2	3	53	47	100
7	PHAR 507	ზოგადი და არაორგანული ქიმია	3	20	20	-	1	3	44	31	75
8	PHAR 508	ორგანული ქიმია	3	22	22	-	1	3	48	27	75
9	PHAR 509	ფარმაკოლოგია	4	26	25	-	2	3	56	44	100
10	PHAR 510	ანალიზური ქიმია	4	18	32	-	2	3	55	45	100
11	PHAR 511	წმალთა დამზადების სააფთიაქო ტექნოლოგია	6	30	45	-	2	3	80	70	150

12	PHAR 512	წამალთა დამზადების საქარხნოტექნოლოგია	6	28	42	-	2	3	75	75	150
13	PHAR 513	ტოქსიკოლოგიური ქიმია	4	29	29	-	2	3	63	37	100
14	PHAR 514	ფარმაცევტული ქიმია	4	16	32	-	2	3	53	47	100
15	PHAR 515	ფარმაკოგნოზია	4	26	25	-	2	3	56	44	100
16	PHAR 516	ფარმაცევტული პრეპარატების ანალიზი და ხარისხის კონტროლი	3	13	25	-	2	3	43	32	75
17	PHAR 517	ბიოეთიკა	3	22	21	-	1	3	47	28	75
18	PHAR 518	სოციალური ფარმაცია (ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია)	6	36	35	-	2	3	76	74	150
19	PHAR 519	სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)	28	-	-	695	2	3	700	0	700
20	PHAR 520	წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)	20	-	-	495	2	3	500	0	500
		<b>სულ</b>	<b>120</b>	<b>390</b>	<b>442</b>	<b>1190</b>	<b>34</b>	<b>60</b>	<b>2223</b>	<b>777</b>	<b>3000</b>

### XIII. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა

სასწავლო კურსები	კვირა/საათი										
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ზოგადი და არაორგანული ქიმია	7	7	7	7	7	7	4	7	6	6	7
ლათინური ენა სამედიცინო ტერმინოლოგია	8	8	8	7	6	7	7	6	6	6	6
ორგანული ქიმია				6	6	6	6	6	7	4	6

საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	5	5	5	4	5	5	5	4	6	4
ანალიზური ქიმია											
ფარმაცევტული ქიმია											
სამედიცინო ბიოლოგია	6	6	6	6	6	7	5	6	6	5	6
ტოქსიკოლოგიური ქიმია											
ფარმაკოლოგია											
ფარმაკოგნოზია											
ინგლისური ენა	5	5	5	5	6	3	5	5	5	5	6
წამალთა დამზადების სააფთიაქო ტექნოლოგია											
წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)											
ფარმაცევტული პრეპარატების ანალიზი და ხარისხის კონტროლი											
სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა											
სოციალური ფარმაცია (ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია)											
მათემატიკა	8	7	7	4	5	3	8	4	5	7	5
ბიოეთიკა											
სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)											
წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)											
<b>კვირეული დატვირთვა</b>	38	38	38	40	40	38	40	39	39	39	40

სასწავლო კურსები	კვირა/საათი										
	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
ზოგადი და არაორგანული ქიმია	3										
ლათინური ენა სამედიცინო ტერმინოლოგია											
ორგანული ქიმია	6	6	6	7	3						
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები	5	5	5	5	3						
ანალიზური ქიმია		5	5	5	6	6	4	6	6	6	6
ფარმაცევტული ქიმია											
სამედიცინო ბიოლოგია	7	3									
ტოქსიკოლოგიური ქიმია											
ფარმაკოლოგია							8	8	5	5	6
ფარმაკოგნოზია									5	8	6
ინგლისური ენა	3	4	4	6	3	5	5	5	5	5	3
წამალთა დამზადების სააფთიაქო ტექნოლოგია											
წამალთა დამზადების საქარხნო ტექნოლოგია											
ფარმაცევტული პრეპარატების ანალიზი და ხარისხის კონტროლი											

სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა					7	7	7	7	8	4	7
სოციალური ფარმაცია (ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია)											
მათემატიკა	5	7									
ბიოეთიკა	6	6	6	6	7	4	7	6	6	6	6
სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)											
წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)											
<b>კვირეული დატვირთვა</b>	35	36	26	29	29	22	31	32	35	34	34

სასწავლო კურსები	კვირა/საათი										
	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33
ზოგადი და არაორგანული ქიმია											
ლათინური ენა სამედიცინო ტერმინოლოგია											
ორგანული ქიმია											
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები											
ანალიზური ქიმია	4	6	5	5	6	5	5	6	3		
ფარმაცევტული ქიმია										5	5
სამედიცინო ბიოლოგია											
ტოქსიკოლოგიური ქიმია										5	6
ფარმაკოლოგია	8	5	7	7	5	8	5	7	6	7	3
ფარმაკოგნოზია	5	6	7	8	5	6	8	8	4	5	8
ინგლისური ენა	5	5	5	4	6	3	5	5	6	3	



წამალთა დამზადების სააფთიაქო ტექნოლოგია			9	8	9	9	9	9	9	11	5	10
წამალთა დამზადების საქარხნო ტექნოლოგია												
ფარმაცევტული პრეპარატების ანალიზი და ხარისხის კონტროლი												
სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	7	9	5	7	7	7	8	3				
სოციალური ფარმაცია (ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია)										7	7	7
მათემატიკა												
ბიოეთიკა	6	3										
სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)												
წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)												
<b>კვირეული დატვირთვა</b>	35	34	38	39	38	38	40	38	37	37	37	39

სასწავლო კურსები	კვირა/საათი											
	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	
ზოგადი და არაორგანული ქიმია												
ლათინური ენა სამედიცინო ტერმინოლოგია												
ორგანული ქიმია												
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები												
ანალიზური ქიმია												

ფარმაცევტული ქიმია	6	5	6	5	3	5	6	5	6	3	6
სამედიცინო ბიოლოგია											
ტოქსიკოლოგიური ქიმია	6	5	6	6	3	6	5	6	3	6	6
ფარმაკოლოგია											
ფარმაკოგენოზია	8	3									
ინგლისური ენა											
წამალთა დამზადების სააფთიაქო ტექნოლოგია	8	8	10	10	5	8	8	11	3		
წამალთა დამზადების საქარხნო ტექნოლოგია		9	9	9	9	9	9	5	10	11	11
ფარმაცევტული პრეპარატების ანალიზი და ხარისხის კონტროლი				5	5	5	5	7	3	6	5
სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა											
სოციალური ფარმაცია (ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია)	7	7	9	5	7	7	7	6	9	5	8
მათემატიკა											
ბიოეთიკა											
სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)											
წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)											
<b>კვირეული დატვირთვა</b>	35	37	40	40	32	40	40	40	34	31	36

სასწავლო კურსები	კვირა/საათი											
	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	
ზოგადი და არაორგანული ქიმია												
ლათინური ენა სამედიცინო ტერმინოლოგია												
ორგანული ქიმია												
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები												
ანალიზური ქიმია												
ფარმაცევტული ქიმია	6	6	6	6	7	3						
სამედიცინო ბიოლოგია												
ტოქსიკოლოგიური ქიმია	8	6	6	8	3							
ფარმაკოლოგია												
ფარმაკოგნოზია												
ინგლისური ენა												
წამალთა დამზადების სააფთიაქო ტექნოლოგია												
წამალთა დამზადების საქარხნო ტექნოლოგია	5	10	10	10	10	11	3					
ფარმაცევტული პრეპარატების ანალიზი და ხარისხის კონტროლი	5	5	5	5	5	6	3					
სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა												
სოციალური ფარმაცია (ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია)	8	8	8	8	8	9	3					

მათემატიკა												
ბიოეთიკა												
სააფთიქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)									40	40	40	40
წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)												
<b>კვირეული დატვირთვა</b>	32	35	35	37	33	29	9	40	40	40	40	40

სასწავლო კურსები	კვირა/საათი											
	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	
სააფთიქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40
წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)												
<b>კვირეული დატვირთვა</b>	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40

სასწავლო კურსები	კვირა/საათი															
	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82
სააფთიქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)	40	40	20													
წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)				40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	20
<b>კვირეული დატვირთვა</b>	40	40	20	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	20

#### XIV. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) მომზადება/ჩაბარებას.

#### XV. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;

- **(A)** ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(C)** კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- **(FX)** ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

- პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს: მინიმუმ ერთ შუალედურ გამოცდის შეფასებას, მიმდინარე შეფასებებს.
- პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას.

- პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.
- პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

## XVI. სწავლის მეთოდები

წინამდებარე პროგრამის ფაგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, გამოკითხვა, დისკუსია, განხილვა, როლური თამაში, სიტუაციური ამოცანა, ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსავითარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამის სილაბუსში

## XVII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

კურსის დასახელება	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ზოგადი და არაორგანული ქიმია	მარიამ ჩაფიძე ნინო თაბუაშვილი	ინჟინერ ქიმიკოს-ტექნოლოგი ინჟინერ ქიმიკოს-ტექნოლოგი
ლათინური ენა, სამედიცინო ტექნოლოგია	ოლღა ქავთარია ნანა იაძე	ფილოლოგის გერმანულისა და ინგლისური ენის მასწავლებელი პროვიზორი

ორგანული ქიმია	მანანა სტურუა მაია მამისეიშვილი	ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ინჟინერ ქიმიკოს-ტექნოლოგი
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები	ლელა დეკანოიძე ეკა როჭიკაშვილი	ფიზიკის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მასწავლებელი საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი; ინჟინერ სისტემო ტექნიკოსი
ანალიზური ქიმია	მარიამ ჩაფიძე ნინო თაბუაშვილი	ინჟინერ ქიმიკოსი ინჟინერ ქიმიკოს-ტექნოლოგი
ფარმაცევტული ქიმია	მაია მამისეიშვილი დარეჯან გულბანი მანანა სტურუა	ინჟინერ ქიმიკოს-ტექნოლოგი ქიმიკოსი ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი
სამედიცინო ბიოლოგია	ციცინო ხოშტარია	ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი
ტოქსიკოლოგიური ქიმია	მანანა სტურუა ნინო თაბუაშვილი	ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ინჟინერ ქიმიკოს-ტექნოლოგი
ფარმაკოლოგია	ნათელა გოზალიშვილი	პროვიზორი
ფარმაკოგნოზია	ნათელა შეყლაშვილი ნათელა გოზალიშვილი	ფარმაცევტი პროვიზორი
ინგლისური ენა	მაია გიორგაძე	ინგლისური და გერმანული ენის მასწავლებელი
წამალთა დამზადების სააფთიაქო ტექნოლოგია	ხათუნა თოლორდავა ქეთევან ბუხნიკაშვილი	ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი პროვიზორი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.
წამალთა დამზადების საქარხნო ტექნოლოგია	მანანა ორჯონიკიძე ქეთევან ბუხნიკაშვილი	ინჟინერ ქიმიკოს ტექნოლოგი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. პროვიზორი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ფარმაცევტული პრეპარატების ანალიზი და ხარისხის კონტროლი	მანანა სტურუა ქეთევან ბუხნიკაშვილი	ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი პროვიზორი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.
სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	ლალი კალატოზიშვილი	პროვიზორი
სოციალური ფარმაცია (ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია)	ხათუნა თოლორდავა ლალი კალატოზიშვილი	ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი პროვიზორი
მათემატიკა	ირაკლი დოჭვირი	მათემატიკოსი, მათემატიკის მასწავლებელი
ბიოეთიკა	ციური ცერცვაძე	ფსიქოლოგ-დეფექტოლოგი
სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია (საწარმოო პრაქტიკა)	ლალი კალატოზიშვილი	პროვიზორი
წამალთა საქარხნო ტექნოლოგია(საწარმოო პრაქტიკა)	მანანა სტურუა	ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

### XVIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

წინამდებარე პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება შპს ორიენტის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული:

- კეთილმოწყობილი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სააუდიტორიო ფონდი, თვალსაჩინო მასალები;
- ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსების) შესაბამისი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა (წიგნადი, ელექტრონული) სახელმძღვანელოებით, პროფესიული ჟურნალებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით.

- ზემოთ აღნიშნული სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოწყობილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით. შპს ორიენტის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია“-სთან ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს გამართვაზე (ხელშეკრულება დაიდო 06.02.2012წ.-ში).

- ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია:

- კომპიუტერული კლასი, ინტერნეტი;
- ბიბლიოთეკა;

- საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე:



- შპს ფარმანეტი
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- შპს ეუბიოტიკები
- სს ბიოფარმი
- შპს აფთიაქი 34

**XIX. დასაქმების სფეროები** – ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს: აფთიაქებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ფარმაცევტულ ბაზებში, ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის და წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში, სტომატოლოგიურ და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებში.

**XX. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:**

სახელი, გვარი -ნათელა გოზალიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: 5 93 16 26 61

ელ-ფოსტა: natela.gozalishvili@mail.ru

**XXI. სილაბუსები**

## სარჩევი

I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: .....	2
II. პროფესიული განათლების საფეხური:.....	2
III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:.....	2
IV. პროგრამის მოცულობა: .....	2
V. პროგრამის ხანგრძლივობა:.....	2
VI. სწავლების ენა:.....	2
VII. პროგრამაზე მიღების წინაპირობა:.....	2
VIII. სფეროს აღწერა:.....	2
IX. პროფესიული პროგრამის მიზანი.....	3
X. სწავლის შედეგი.....	4
XI. სწავლის შედეგების რუქა.....	10
XII. სასწავლო გეგმა .....	12
XIII. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა .....	13
XIV. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა).....	21
XV. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება .....	21
XVI. სწავლის მეთოდები.....	22
XVII.ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.....	22
XVIII.ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ .....	24
XIX.დასაქმების სფეროები.....	25
XX. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:.....	25

XXI.სილაბუსები ..... 25